Co-funded by the European Union

საჭიროებათა კვლევის ანალიზი (საქართველო)

შესავალი

საქართველო ეთნიკურად და კულტურად მრავალფეროვანი სახელმწიფოა. მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში ათამდე ეთნიკური ჯგუფი, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია - 6,3% აზერბაიჯანული და 4,5% სომეხური თემების წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად სამხრეთ საქართველოშია დასახლებული, თუმცა ეროვნული მრავალფეროვნება გამოხატულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღმსარებლობის თვალსაზრისით, მთლიანი მოსახლეობის 16,7% მართლმადიდებლობისგან განსხვავებული რელიგიური მრწამსის წარმომადგენელია. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2014 წ.) ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ბოლო ათი წლის განმავლობაში არაერთხელ გახდა ეთნიკურ-რელიგიური ნიადაგზე კონფლიქტისა და დაპირისპირების წინაპირობა სხვადასხვა რეგიონში.
ორი მოუგვარებელი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში კი საქართველოს ბოლო 30 წლის პოლიტიკური ისტორიის მთავარი დღისწერიგია. პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად 286 ათასზე მეტი დევნილია ქვეყანაში.

2022 წელს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, როგორც გლობალურ დონეზე, ასევე საქართველოსთვის. ქვეყანაში 20000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირია უკრაინიდან, მათგან დაახლოებით 1500 სკოლის მოსწავლეა. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში და კონფლიქტით გამოწვეული ტრავმის შედეგების შემცირება. სამშვიდობო განათლებას და მისი ელემენტების ფორმალურ და არაფორმალურ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებას განსაკუთრებული როლი აქვს ინტეგრაციის პროცესების სწორად მართვაში.

მეთოდოლოგია

საქართველოს საჭიროებების კვლევის შესაფასებლად გამოყენებული იქნა შერეული კვლევის მეთოდი.

თვისებრივი კვლევის კომპონენტში სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა:

● განათლების ადგილობრივი მარეგულირებელი დოკუმენტები და საერთაშორისო დეკლარაციები, რომლებიც ითვალისწინებს სამშვიდობო განათლების ქოლგის ქვეშ განხილულ საკითხებსა და მიმართულებებს. რათა განისაზღვროს თუ რა ეროვნული და საერთაშორისო ინიციატივები არსებობს სამშვიდობო განათლებასთან და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებით..

● საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმები და სილაბუსები, რომლებიც მოიცავს სამშვიდობო განათლებისა და მშვიდობის კვლევების კომპონენტებს, რათა შეფასდეს, თუ რომელი თემებია ინტეგრირებული უნივერსიტეტის დონეზე მიმდინარე პროგრამებში.

● სამშვიდობო განათლებასთან დაკავშირებული პროექტების ანგარიშები, რომლებიც ხორციელდებოდ და ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების

მიერ იმის გასარკვევად, თუ რა გაკეთდა არაფორმალური განათლების მიმართულებით.

სიღრმისეული ინტერვიუები განხორციელდა:

● შესაბამის სფეროებში მომუშავე აკადემიური პერსონალთან საკუთარი შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გამოსავლენად;
● განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მასთან ასოცირებული ორგანიზაციების სამოქალაქო განათლების ექსპერტებთან, რათა გამოგვევლინა მათი შეხედულებები და დამოკიდებულებები სამშვიდობო განათლების ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე ინტეგრაციის შესაძლებლობებთან და პერსპექტივებთან დაკავშირებით.
● არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა სტუდენტებთან. კითხვარი დაეყრდნო ერთი მხრივ, სამშვიდობო განათლების სამეცნიერო ლიტერატურას, ასევე Peace Education Curricular Analysis (PECA) პროექტს, რომელიც წარმოადგენდა კვლევის მთავარ კონცეპტუალურ ჩარჩოს და კომპეტენციების დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს. (RFCDC). (დანართი #1). გამოკითხვა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებთან, რათა გამოგვერკვია მათი ინფორმირებულობა სამშვიდობო განათლებასთან დაკავშირებით და მზადყოფნა ამ მიმართულების ინტეგრირებისთვის მათი პროგრამების სასწავლო გეგმებში. გამოკითხვაში გამოყენებული კითხვარი მოიცავდა დახურულ კითხვებს, ლიკერტის შკალით შესაფასებელ საკითხებს და ღია კითხვებს, რომლებშიც რესპონდენტებს უნდა დაეწერათ თავიანთი მოსაზრებები მშვიდობისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ, ამასთან მათი მოლოდინები და დამოკიდებულებები მშვიდობის ინტეგრაციის შესახებ. განათლება საგანმანათლებლო კურიკულუმებში.

კვლევის მთავარი მიგნებები

დოკუმენტების ანალიზის მიგნებები

- სამშვიდობო განათლების ელემენტები გათვალისწინებულია გაეროს მდგრადი განვითარების მეოთხე და მეთექვსმეტე მიზანში.
- სამშვიდობო განათლების კომპეტენციებს პასუხობს ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო.
- გლობალური მოქალაქეობის შესაებ განათლება, როგორც იუნესკოს პრიორიტეტული სფერო.
- საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები- სკოლამ უნდა აღზარდოს კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქე, რომელსაც შეუძლია პატივის სცეს სხვას, რათა შეძლოს არსებობა დღევანდელ კულტურულად და ეთნიკურად მრავალფეროვან სამყაროში.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია - თანასწორობა, ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება, როგორც განათლების სექტორის პრიორიტეტული მიმართულებები.
- ეროვნული სასწავლო გეგმა - ზოგადი ნაწილი პრიორიტეტული თემები და სწავლა სწავლების სტრატეგიები. სამოქალაქო განათლების სტანდარტის სამიზნე ცნებები, საფეხურის მისაღწევი შედეგები და სასწავლო თემები.

- საუნივერსიტეტო დონეზე სამშვიდობო განათლების ცალკეულ თემებს ვხვდებით განათლების მიმართულებების პროგრამებში, როგორიცაა ინტერკულტურული ქცევა, დემოკრატიული მოქალაქეობა და სოციალური პასუხისმგებლობა, მორალური განვითარების თეორია და ღირებულებითი განათლება. უნივერსიტეტებში ასევე მოქმედებს კურსები მშვიდობის თემატიკაზე საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამებში, რომელიც მეტწილად პასუხობს მშვიდობის კვლევების მიმართულებას და ნაკლებად აქვს ბმა სამშვიდობო განათლების თემებთან.

ინტერვიუების მიგნებები

- რესპონდენტები აღიარებენ, რომ სამშვიდობო განათლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ყოველდღიური მშვიდობის მშენებლობისთვის;
- სამშვიდობო განათლების ელემენტების გაძლიერება ეროვნული კურიკულუმის დონეზე დაგეგმილია უახლოეს მომავალში, სამშვიდობო განათლების თემები, რომელთა სწავლების ხანგძლივობა გათვალისწინებული იყო 1 თვე, დაეთმობა მთელი სემესტრი.
- მნიშვნელოვანია რომ ყველა მიმართულების მასწავლებელი ფლობდეს სამშვიდობო განათლების კომპეტენციებს და ღირებულებებს. ტერმინი მშვიდობის სწავლება მათთვის იყოს შემაშინებელი.
- სკოლების, უნივერსიტეტების, ადგილობრივი თემის ერთობლივი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის აუცილებლობა სამშვიდობო განათლების გაძლიერებისთვის.
- დაინერგოს პრაქტიკული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები მასწავლებლებთან იმ მეთოდოლოგიების მიწოდების მიზნით, რომელთაც ისინი თავიანთ პრაქტიკაში გადაიტანენ.
- სამშვიდობო განათლების დამოუკიდებელი კურსების დანერგვა საუნივერსიტეტო კურიკულუმებში.
- ახალგაზრდული კლუბების დაარსება სკოლებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლების ჩართულობით.

რაოდენობრივი კვლევის მიგნებები

- რესპონდენტების უმრავლესობის ასოციაციები მშვიდობის, სამშვიდობო განათლებისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით ფარავს სფეროს ძირითად ასპექტებს. თუმცა, რესპონდენტენის მცირე რაოდენობა საუბრობს,

თავიანთ როგორც მოქალაქის როლზე მშვიდობის მშენებლობაში. რესპონდენტების უმრავლესობას სამშვიდობო განათლება ესმის ტერმინოლოგიურ დონეზე.

- რესპონდენტებს სურთ ცოდნის გაღრმავება არ მხოლოდ სამშვიდობო განათლების ცალკეულ თემებსა და საკითხებზე, არამედ მათი სწავლების მეთოდოლოგიაზე, რომლითაც შეძლებენ დაეხმარონ მოსწავლეებს გამოიმუშავონ ის კომპეტენციები, რომელიც უკავშირდება სამშვიდობო განათლებას.
- გამოიკვეთა თემები, რომელი მიმართულებითაც სურთ ცოდნის გაღრმავება: სახელმწიფოსა და ინდივიდის როლი მშვიდობის მშენებლობაში. სამშვიდობო განათლების სწავლება სკოლებში მათშორის კონფლიქტების მართვა და პრევენცია.

გადაჭრის გზები

კვლევის მიგნებებზე დაფუძნებით განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- სამშვიდობო განათლების მეთოდოლოგიური კურსის შემუშავება მასწავლებლის მომზადების პროგრამებისთვის
  რომლის მიზანი იქნება: სტუდენტებს განუვითარდეთ სამშვიდობო განათლების სწავლების კომპეტენციები სამშვიდობო განათლების სხვადასხვა კომპონენტებისა და მიდგომების გამოყენებით.
- ზოგადი მოდულის ბაკალავრიატის კურსი მშვიდობის მშენებლობაში, რომლის მიზანია: სტუდენტებში მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირბით ცნობიერების ამაღლება, რაც დაეხმარება მათ გააცნობიერონ თავიანთი, როგორც გლობალური მოქალაქის როლი ამ პროცესში.
- ტრენინგები აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლებისთვის, მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით პროექტის რელევანტური თემატიკის მიმართულებით.
- ახალგაზრდული კლუბების შექმნა რომელთა მიზანია: უნივერსიტეტის დონეზე მიღებული ცოდნის და გამოცდილების ტრანსფერი სასკოლო და ლოკალურ საზოგადოებებში.